შეთანხმებულია: სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე	**განხილული და დამტკიცებულია:** სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი №14 სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძე
03 აგვისტო 2023 წ.	03 აგვისტო 2023 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის (შემდგომში – ინსტიტუტი) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დებულება (შემდგომში – დებულება) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, სტრუქტურას, ორგანიზებას, ძირითად ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ინსტიტუტის წესდებით, ინსტიტუტის დირექტორის (შემდგომში – დირექტორი) სამართლებრივი აქტებით და დებულებით.
2. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის დირექტორის, დირექტორის კურატორი მოადგილის და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების ჯგუფი;

ბ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ლაბორატორია.

მუხლი 4 . ცენტრის ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

2. ცენტრის უფროსი:

ა) ახორციელებს ცენტრის საერთო ხელმძღვანელობას და საქმიანობის კონტროლს, უშუალოდ ხელმძღვანელობს საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების ჯგუფს;

ბ) ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების ორგანიზება და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენა;

გ) წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;

დ) ახორციელებს სინსტიტუტის პროგრამით, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების, საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების მიმართულებით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ცენტრზე განპიროვნებული სამუშაოების ხელმძღვანელობა;

ე) უზრუნველყოფს სტატიების, ნაშრომების მომზადებას, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას;

ვ) დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით მონაწილეობს სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

ზ) უზრუნველყოფს სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით მომზადებას/მონაწილეობის მიღებას და პროექტების წარადგენას დასაფინანსებლად საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;

თ) ცენტრის საქმიანობას წარმართავს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტული ტექნიკური პირობების, ნორმების - წესების და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად;

ი) ახორციელებს ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას;

კ) უზრუნველყოფს ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;

ლ) უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო სემინარების ორგანიზებას და მონაწილეობას;

მ) ითანხმებს ცენტრის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს;

ნ) წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორსცენტრის ბიუჯეტის პროექტს;
ო) ახორციელებს საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლს;
პ) დირექციის წინაშე წარადგენს შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებებს;
ჟ) ახორციელებს ცენტრის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვის კონტროლს;
რ) ახორციელებს კონტროლს ცენტრის თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;
ს) ახორციელებს კონტროლს ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებაზე;
ტ) ახორციელებს ცენტრის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზებას დადგენილი წესის მიხედვით;
უ) ახორციელებს ჯგუფის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირის შერჩევას, კონტროლს აღნიშნული ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე და დაცვაზე;
ფ) ხელმზღვანელობს პროექტებს შესრულების ყველა სტადიაზე;
ქ) ახორციელებს ცენტრის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებას, დავალებების გაფორმებას;
ღ) ახორციელებს ცენტრის თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლს;
ყ) მონაწილეობს ცენტრის საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში;
შ) წინადადებებს წარადგენს დირექციის წინაშე შტატების, მუშაობის ორგანიზების, მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ;
ჩ) ორგანიზებას უწევს პროექტირებისთვის აუცილებელი კვლევებს;
ც) უშუალოდ მონაწილეობს პროექტირების, კონსტრუირებისა და კვლევების პროცესში;
ძ) უზრუნველყოფს ცენტრის სპეციალისტებთან ერთად საპროექტო გადაწყვეტების ტექნიკური დავალების მომზადებას და მოქმედ სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას;
წ) ახორციელებს დასამტკიცებლად წარდგენას და შემუშავებული პროექტების დაცვას ზემდგომი ორგანოებისა და დამკვეთის წინაშე;
ჭ) ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებს;
ხ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში;

ჯ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში;

ჰ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს დირექციის სხვა დავალებებს და მითითებებს.

3. ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია დირექტორის და კურატორი დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე.

4. ცენტრის უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ცენტრის უფროსის მოვალეობას დირექტორის ბრძანების საფუძველზე ასრულებს მის მიერ განსაზღვრული თანამშრომელი.

მუხლი 5. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელობა

1. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის უფროსი - მთავარი გეოლოგი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

2. ლაბორატორიის გამგე:

ა) ახორციელებს ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობას და საქმიანობის კონტროლს, უშუალოდ ხელმძღვანელობს პროექტირების ჯგუფს;

ბ) ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების ორგანიზებას და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენას;

გ) სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;

დ) ასრულებს საველე საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებს;

ე) უზრუნველყოფს საკვლევი ნიმუშების დადგენილი წესით აღებას და წარმოდგენას;

ვ) ახორციელებს გრუნტების დახასიათებას მათი ფიზიკური და მექანიკური თვისებების გათვალისწინებით;

ზ) ახორციელებს ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების პროგნოზირებას;

თ) უზრუნველყოფს ცალკეული საინჟინრო ნაგებობების (გვირაბები, ხიდები, გზები სამოქალაქო-სამრეწველო და ა.შ.) დაპროექტებისთვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარებას;

ი) ახორციელებს ჭაბურღილების დოკუმენტირებას;

კ) ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ბურღვის პროცესზე ზედამხედველობას და მასში უშუალო მონაწილეობას;

ლ) ახორციელებს ინსტიტუტის პროგრამით ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის მიმართულებით, სპეციალური დავალებებითა და

ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ლაბორატორიაზე განპიროვნებული სამუშაოების ხელმძღვანელობას;

მ) უზრუნველყოფს სტატიების, ნაშრომების მომზადებას, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას;

ნ) დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით მონაწილეობს სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

ო) სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით ახორციელებს მომზადებას/მონაწილეობის მიღებას და პროექტების წარადგენას დასაფინანსებლად საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;

პ) ლაბორატორიის საქმიანობის წარმართავს თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტული ტექნიკური პირობების, ნორმების - წესების და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად;

ჟ) ახორციელებს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა;

რ) უზრუნველყოფს ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვას და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;

ს) ახორციელებს ლაბორატორიის სამეცნიერო სემინარების ორგანიზება და მონაწილეობას;

ტ) ახორციელებს ლაბორატორიის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებას, დავალებების გაფორმებას და მათი მხრიდან შესრულების კონტროლს;

უ) ითანხმებს ლაბორატორიის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს;

ფ) დირექტორს წარუდგენს ლაბორატორიის ბიუჯეტის პროექტს;

ქ) ახორციელებს საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლს;

ღ) დირექციის წარუდგენს შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებებს;

ყ) მონაწილეობს ლაბორატორიის საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში;

შ) ახორციელებს კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;

ჩ) ახორციელებს კონტროლს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;

ც) ახორციელებს კონტროლს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებაზე;

ძ) ახორციელებს ლაბორატორიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზებას დადგენილი წესის მიხედვით;
წ) ახორციელებს ლაბორატორიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირის შერჩევას, კონტროლს აღნიშნული ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე და დაცვაზე;
ჭ) ორგანიზებას უწევს და პასუხისმგებელია სხვა ორგანიზაციებთან ლაბორატორიის პროფილით თანამშრომლობისათვის აუცილებელი მასალების, სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებაზე;
ხ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში;
ჯ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში;
ჰ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს დირექციის და ცენტრის უფროსის სხვა დავალებებს და მითითებებს.
3. ლაბორატორიის უფროსი ანგარიშვალდებულია დირექტორის, კურატორი დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ცენტრის უფროსის წინაშე.
4. ლაბორატორიის უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ლაბორატორიის უფროსის მოვალეობას დირექტორის ბრძანების საფუძველზე ასრულებს მის მიერ განსაზღვრული თანამშრომელი.

მუხლი 7. ცენტრის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები

1. კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის საერთო ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:
ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და შესრულება ცენტრის სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად;
ბ) მისი დაქვემდებარების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის დაგეგმვა, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა და კონტროლი;
გ) ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის პერსპექტიული გეგმების და მიმდინარე სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავება;
დ) ცენტრში დამუშავებული თემის ანგარიშის მომზადება და დაცვა;
ე) სამეცნიერო-საგრანტო პროექტების მომზადება;
ვ) სამეცნიერო მიღწევების გამოქვეყნება დადგენილი წესით (სტატიები, ნაშრომები, გამოგონებები);

ზ) ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება და გადაცემა, ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
თ) დაარქივებისთვის გადასაცემი საქმეების ფორმირება და ჩაბარება;
ი) ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და მომზადება დამოუკიდებელი მუშაობისათვის, დარგის პრობლემების ხედვის, მათი გადაწყვეტის გზების დასახვის და სრულფასოვანი ექსპერიმენტული კვლევების, სამუშაოს აღწერა-გაანალიზების და გუნდური მუშაობის ჩვევების გამომუშვების მიზნით;
კ) კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
ლ) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება.
მ) კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილებებისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის შესაბამისი დავალებების განხორციელება.
2. კომპეტენციის ფარგლებში საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების ჯგუფის ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:
ა) სამოქალაქო-სამრეწველო, სამხედრო, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურული და სარემონტო საპროექტო სამუშაოების შესრულება:
ა.ა) წინასაპროექტო კვლევების განხორციელება და პროექტირებისათვის აუცილებელი საწყისი მონაცემების შეგროვება;
ა.ბ) შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის მომზადება;
ა.გ) შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული პროექტის მომზადება;
ა.დ) ელექტროობის სისტემის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
ა.ე) კონსტრუქციული ელემენტების თანამედროვე კომპიუტერული სისტემების საშუალებით გაანგარიშება.
ბ) ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების შესრულება:
ბ.ა) ტოპოგრაფიული წერტილების ადგილზე პოვნა;
ბ.ბ) გეოდეზიური წერტილების ადგილზე პოვნა და საველე ტოპოგრაფიული აგეგმვა;
ბ.გ) აზომვის შედეგების კამერალური დამუშავება და მისი გრაფიკულად გამოსახვის უზრუნველყოფა;
ბ.დ) საინჟინრო ნაგებობათა დაკვალვითი სამუშაოების წარმოება და გეოდეზიური კონტროლის განხორციელება;
ბ.ე) საკადასტრო აზომვების წარმოება.
გ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
დ) აზომვითი სამუშაოების წარმოების და დეფექტური აქტების შედგენის უზრუნველყოფა;
ე) დავალების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის განხორციელება;
ვ) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება დამკვეთისათვის გადასაცემად;

ზ) ობიექტის მშენებლობის პროცესში გამოვლენილი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა;
თ) დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილეობა.
3. კომპეტენციის ფარგლებში საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიის ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:
ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და შესრულება ლაბორატორიის სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად:
ბ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების წარმოება;
გ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების საფუძველზე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მომზადება;
დ) ქანების და გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა-დადგენა და ხარისხის კონტროლი, მათ შორის: ტენიანობა, სიმკვრივე, წყალშთანთქმა, კონსისტენცია; სიმტკიცის ზღვრები: შეკუმშვაზე, გაჭიმვაზე, ღუნვაზე, ძვრაზე; დრეკადობის მოდული, პუასონის კოეფიციენტი, ცოცვადობა; აბრაზიულობა, ცვეთა; ყინვამედეგობა;
ე) საშენი მასალების-ბეტონის თვისებების კვლევა-დადგენა და ხარისხის კონტროლი, მათ შორის: ბეტონის ინგრედიენტების თვისებები; ბეტონის ინგრედიენტებს შორის თანაფარდობა; ნარევის თვისებები; ნარევის სამშენებლო ყალიბებში ჩასხმა, კომპაქტირება, მოვლა; გამყარებული ბეტონის თვისებები;
ვ) ქანების და საშენი მასალების ექსპერტიზა ლაბორატორიულ და საველე პირობებში და საპროექტო მნიშვნელობებთან მათი შესაბამისობის კონტროლი;
ზ) ახალი საშენი მასალების ტექნოლოგიის, საშენი მასალების და ქანების თვისებების კვლევის მეთოდების გაუმჯობესება-შემუშავება;
თ) დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილეობა;
ი) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 8. ცენტრის/ჯგუფის/ლაბორატორიის შემადგენლობა და ფუნქცია-მოვალეობები

1. ცენტრის/ჯგუფის/ლაბორატორიის შემადგენლობა განსაზღვრება ინსტიტუტის საშტატო განრიგის შესაბამისად;
2. ცენტრის/ჯგუფის/ლაბორატორიის თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, ინსტიტუტის თანამდებობების სამუშაოთა აღწერით და ცენტრის/ლაბორატორიის უფროსის მიერ მომზადებული სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად;

3. ცენტრის/ჯგუფის/ლაბორატორიის თანამშრომლები უზრუნველყოფენ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას და ინსტიტუტის შინაგანაწესით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას.

მუხლი 9. ცენტრის რეორგანიზაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულების ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება ინსტიტუტის წესდებით დადგენილი წესით.